

ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი

საქართველოს პარლამენტი აცხადებს კონკურსს ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტის (CPT) წევრობის კანდიდატთა შესარჩევად.

აღნიშნული კომიტეტი „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის“ საფუძველზე დაარსდა. იგი დაკავების ადგილებში ვიზიტების საშუალებით ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობას და აქვეყნებს არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს.

წევრი სახელმწიფოები ევროპის საბჭოს სთავაზობენ ეროვნულ დონეზე შერჩეულ 3 კანდიდატურას კომიტეტის წევრად ასარჩევად. კომიტეტის წევრს ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი 4 წლის ვადით.

კომიტეტის წევრად შეირჩევა მაღალი მორალური თვისებების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია ადამიანის უფლებათა დარგში, ზემოაღნიშნული კონვენციით გათვალისწინებულ სფეროში მუშაობის პროფესიული გამოცდილება და უნარი, ეფექტიანად ემსახუროს კომიტეტს.

კომიტეტის წევრობის კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

- უმაღლესი განათლება სამართლის, სოციოლოგიის ან მედიცინის დარგში;
- ადამიანის უფლებების საუკეთესო ცოდნა და ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება;

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის სრულყოფილი ცოდნა და სხვა შესაბამისი კონვენციების ცოდნა;
- საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის პრინციპების ცოდნა;
- მაღალი მორალური თვისებები;
- კომპეტენტურობა და მაღალი პროფესიული რეპუტაცია;
- პოლიტიკური ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა;
- ინგლისური ენის კარგად ფლობა (ევროპის საბჭოს მეორე ოფიციალური ენის – ფრანგულის – ფლობა უპირატესობად ჩაითვლება).

ბიოგრაფიის წარდგენის ფორმა:

ბიოგრაფია (Curriculum Vitae) წარდგენილი უნდა იქნეს Microsoft Word-ის ფორმატით, ინგლისურ ენაზე, თანდართული ნიმუშის მიხედვით:

განაცხადის წარდგენის ვადა და მისამართი:

განაცხადი მიიღება 2017 წლის 21 მარტამდე ელექტრონული ფოსტის მისამართზე: cpt@parliament.ge

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

- განაცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება.

გასაუბრებაზე მხოლოდ შერჩეული კანდიდატები იქნებიან მოწვეული.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: **2 28 13 92**

[ბიოგრაფიის ნიმუში](#)